საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 23
02/07/2020

23-06-4-202007021359

განკარგულება N23
01 ივლისი 2020 წელი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 ნოემბრის N71 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 108-ე მუხლის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 ნოემბრის N71 განკარგულებაში და განკარგულების:

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი-მოძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“;

2. 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 88 019 კვმ (ს/კ 26.01.61.383) და 61 807 კვმ (ს/კ 26.01.61.393) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, მასზედ განთავსებული უძრავი-მოძრავი ქონებები და ბიოლოგიური აქტივები, გადაეცეს, უსასყიდლოდ, საკუთრებაში სახელმწიფოს, შემდგომში შპს „ბლექ სი არენა ჯორჯია“-სთვის გადაცემის მიზნით. (უძრავი და მოძრავი ქონების ჩამონათვალი განკარგულებას თან ერთვის დანართის სახით).“.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო